

მოგახსენებთ, რომ არაუგვიანეს ამა წლის მაისის თვისა იგეგმება ს.ს. „პრივატბანკის“ (შემდგომში - პრივატბანკი) შერწყმა ს.ს. „საქართველოს ბანკთან“ (შემდგომში - საქართველოს ბანკი). შერწყმის შემდეგ თქვენი მომსახურება მოხდება საქართველოს ბანკის სერვისცენტრებში და დისტანციური არხებით.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ბანკის ინფრასტრუქტურა და საბანკო პოლიტიკა განსხვავდება პრივატბანკში არსებულისგან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ბანკის მიერ თქვენი საბანკო მომსახურება განხორციელდება ქვემოთ მოცემული პირობების გათვალისწინებით. თუ არ ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ პირობებს, უფლებამოსილი ხართ, აღნიშნული საფუძვლით, შერწყმიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში ან შერწყმამდე, შეწყვიტოთ შესაბამისი საბანკო მომსახურება, იმ პირობით, რომ არ გააჩნიათ რაიმე სახის შეუსრულებელი ან/და შესასრულებელი ვალდებულება პრივატბანკის თუ საქართველოს ბანკის მიმართ.

შერწყმის შემდეგ, საქართველოს ბანკის მიერ პრივატბანკის ცალკეული საბანკო პროდუქტით მომსახურება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

1. მომსახურების ზოგადი პირობები:

- გარდა ქვემოთ მოცემული პირობებისა, პრივატბანკის მომხმარებლების მიმართ იმოქმედებს საქართველოს ბანკში დადგენილი საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობები და ტარიფები, რომლებიც მოცემულია საქართველოს ბანკის ვებგვერდზე - [www.bankofgeorgia.ge](http://www.bankofgeorgia.ge).
- პრივატბანკის მომხმარებლების საბანკო ანგარიშები შენარჩუნდება, თუმცა შეეცვლება ანგარიშის ნომრები. მომხმარებელი ფიზიკური პირები საბანკო ანგარიშების შეცვლილი რეკვიზიტების მიღებას შეძლებენ საქართველოს ბანკის სერვისცენტრში, სატელეფონო ცენტრში და ინტერნეტბანკით. ხოლო მომხმარებელი იურიდიული პირების შემთხვევაში, მხოლოდ სერვისცენტრში. შერწყმიდან შემდგომი 180 (ას ოთხმოცი) კალენდარული დღის განმავლობაში პრივატბანკის მომხმარებლების საბანკო ანგარიშებზე ძველი რეკვიზიტების საშუალებით ჩარიცხვები შეუფერხებლად განხორციელდება. ამ ვადის გასვლის შემდეგ ძველი რეკვიზიტების საშუალებით ჩარიცხვების განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ შეცვლილი რეკვიზიტებით.
- პრივატბანკის პროდუქტების დეტალური პირობები, რომლებსაც შეეხებათ ცვლილებები, მოცემულია ზემოაღნიშნულ ვებგვერდზე, საქართველოს ბანკის შესაბამისი პროდუქტების სტანდარტული პირობების და „საბანკო მომსახურების პირობების“ დანართების სახით. საკითხებს, რომლებიც არ იქნება განხილული შესაბამისი პროდუქტის სტანდარტულ პირობებში და „საბანკო მომსახურების პირობების“ დანართებში, დაარეგულირებს საქართველოს ბანკის „საბანკო მომსახურების პირობები“, რომელიც ასევე განთავსებულია ზემოაღნიშნულ ვებგვერდზე.
- თუ საქართველოს ბანკის ან პრივატბანკის მიმართ პრივატბანკის მომხმარებლებს ერიცხებათ ვადაგადაცილებული დავალიანება, საქართველოს ბანკი მოახდენს შესაბამისი საბანკო ანგარიშების დაჯავშნას და დავალიანების დაფარვას (ნებისმიერ საბანკო ანგარიშზე ხელმისაწვდომი ნაშთის არსებობის/წარმოშობის შემთხვევაში).
- პრივატბანკის იმ მომხმარებლებზე (იურიდიული პირები, ინდივიდუალური მეწარმეები და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნები, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს), რომლებიც შერწყმის მომენტისთვის: ა) არ იქნებიან საქართველოს ბანკის მომხმარებლები, გავრცელდება საქართველოს ბანკში დადგენილი მომსახურების სტანდარტული ტარიფები; ბ) იქნებიან საქართველოს ბანკის მომხმარებლები - საქართველოს ბანკთან არსებული მომსახურების ტარიფები; გ) სარგებლობენ პრივატბანკთან შეთანხმებული ინდივიდუალური ტარიფებით, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე, მაგრამ არა უმეტეს შერწყმიდან 1 (ერთი) საანგარიშო წლის განმავლობაში, შეუნარჩუნდებათ შესაბამისი ტარიფები; დ) სარგებლობენ პრივატბანკის სახელფასო პროგრამის სტანდარტული პირობებით, იმოქმედებს საქართველოს ბანკში დადგენილი სახელფასო პროგრამის სტანდარტული პირობები და ტარიფები, რომლებიც მოცემულია საქართველოს ბანკის ვებგვერდზე - [www.bankofgeorgia.ge](http://www.bankofgeorgia.ge).

2. ფიზიკური პირების მიმდინარე ანგარიშები:

- შერწყმიდან შემდგომი 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, პრივატბანკის ფიზიკური პირების მიმდინარე ანგარიშების მომსახურება იქნება უფასო, შემდეგ იმოქმედებს საქართველოს ბანკში დადგენილი სტანდარტული ტარიფები.

3. საკრედიტო ვალდებულებები, საკრედიტო და სადებეტო ბარათები:

- პრივატბანკში არსებული კრედიტებიდან გამომდინარე ვალდებულებების დაფარვა შესაძლებელი იქნება საქართველოს ბანკის სერვისცენტრებში და Express Bank-ის ტერმინალის საშუალებით.
- პრივატბანკში არსებული საკრედიტო ბარათებიდან გამომდინარე ვალდებულებების დაფარვა შესაძლებელი იქნება საქართველოს ბანკის შემდეგი საგადამხდელო არხების საშუალებით: სერვისცენტრი, ინტერნეტბანკი, მობილბანკი, Express Bank-ის ტერმინალი, სატელეფონო ცენტრი, ბანკომატი.
- პრივატბანკის განვადების ან ავტო განვადების მომხმარებლებს, რომლებიც კრედიტის პირობებიდან გამომდინარე სარგებლობენ სიცოცხლის დაზღვევით ან ავტო დაზღვევით, შეეცვლება სადაზღვევო კომპანია და „სადაზღვევო კომპანია ტაოს“ ნაცვლად, იგივე პირობებით, მოემსახურებათ „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“. სადაზღვევო პრემიის გადახდის თარიღში, თუ არ მოხდა შესაბამისი თანხის შეტანა „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ ანგარიშზე (ანგარიშის რეკვიზიტების მიღება შესაძლებელი იქნება საქართველოს ბანკის სერვისცენტრებში), მომხმარებლებზე ცალმხრივად დაიშვება დამოუკიდებელი კრედიტები - ავტო დაზღვევის ან/და სიცოცხლის დაზღვევის პრემიის შესაბამისი მოცულობით.
- პრივატბანკის პროდუქტი - „საკრედიტო ლიმიტი მიმდინარე ანგარიშზე“ საქართველოს ბანკში აისახება კრედიტად.
- პრივატბანკის პლასტიკური ბარათის მფლობელი ფიზიკური პირებისთვის ინტერნეტბანკის ყოველთვიური მომსახურება ბარათის მოქმედების ვადის განმავლობაში იქნება უფასო.
- პრივატბანკის ბარათების - „უნივერსალური“, „MasterCard Standard“, „MasterCard Contract“, „Visa Gold“, „საპენსიო ბარათი“, „ინტერნეტ ბარათი“, „Junior Card“, „საგადახლო ბარათი“, „სახელფასო უნივერსალური ბარათი“, „World Elite“, „Visa Platinum“ მფლობელები გააგრძელებენ ბარათებით სარგებლობას, მათი მოქმედების ვადის ამოწურვამდე.
- პრივატბანკის „ალტა“ და „Gold VISA“ საკრედიტო ბარათების ვადაგადაცილებული დავალიანებები საქართველოს ბანკში აისახება კრედიტებად.
- შერწყმიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის შემდეგ პრივატბანკის მომხმარებელი ფიზიკური პირების: ა) პლასტიკურ ბარათებზე არსებულ დადებით ნაშთზე შეწყდება საპროცენტო სარგებლის დარიცხვა; ბ) პლასტიკური ბარათებიდან თანხის განაღდებათ საკომისიო განისაზღვრება საქართველოს ბანკის სტანდარტული პირობებით.
- პრივატბანკის სახელფასო პროგრამის ფარგლებში გაცემული საბანკო ბარათის მფლობელ ფიზიკური პირებზე იმოქმედებს საქართველოს ბანკში დადგენილი შედგენილი ტარიფები და საქართველოს ბანკის მიერ დადგენილი სხვა სტანდარტული პირობები, რომლებიც მოცემულია საქართველოს ბანკის ვებგვერდზე - [www.bankofgeorgia.ge](http://www.bankofgeorgia.ge).
- შერწყმის მომენტის შემდეგ პრივატბანკის მომხმარებელი ფიზიკური პირების საკრედიტო ბარათებზე ჯარიმის დარიცხვის მეთოდი და მოცულობა განისაზღვრება საქართველოს ბანკის სტანდარტული პირობებით.

- შერწყმის მომენტიდან შეწყდება:
  - „რესტრუქტურისაციის ბარათით“ მომსახურება, ხოლო მასთან დაკავშირებული საკრედიტო ვალდებულებები საქართველოს ბანკში აისახება კრედიტებად;
  - ბარათით - „ანგარიშის გასაღები“ მომსახურება;
  - „მომენტალური კორპორატიული ბარათით (პერსონალიზირებული)“ და „კორპორატიული ბარათით VISA GOLD“ მომსახურება;
  - პროდუქტი - „სამუშაო დროის აღრიცხვა“;
  - პროდუქტი - „სადღეღამისო სამსახური „კონსიერჟ-სერვისი“;
  - საბონუსე პროგრამა - „ბონუს პლუს“. „ბონუს პლუს“ ანგარიშები დაიხურება და აღნიშნულ ანგარიშებზე დაგროვებული ბონუსის ექვივალენტი თანხა, მომხმარებლისთვის შეუზღუდავად ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს ბანკის მიერ განსაზღვრულ მომხმარებლის საბარათე ანგარიშზე.
- 4. ფულადი გზავნილები:
  - შერწყმის მომენტიდან შეწყდება:
    - ფულადი გზავნილი „Private Money“-ით მომსახურება;
    - ინტერნეტბანკით ფულადი გზავნილების მომსახურება.
- 5. დისტანციური მომსახურება:
  - შერწყმის მომენტიდან შეწყდება/ხელმიუწვდომელი იქნება:
    - აპლიკაციები: „პრივატ 24“, „Ipay“, „პრივატ რუქა“, „Send Money“, „ბონუს პლუს“, „პრივატ Help“, „პრივატ აგენტი“, „ყულაბა“. ამასთან, პრივატბანკის მომხმარებელ ფიზიკურ პირებს საშუალება ექნებათ მოცემული აპლიკაციების (გარდა „Ipay“, „პრივატ აგენტი“ და „ბონუს პლუს“) ანალოგიური მომსახურება მიიღონ საქართველოს ბანკის მობილბანკის საშუალებით;
    - „რეგულარული გადახდებით“ მომსახურება, გარდა შრომით პოლისთან, ქონების დაზღვევის პოლისთან - „ქონება დათვალიერების გარეშე“ და უბედური შემთხვევებისგან დაზღვევის პოლისთან - „ყოველდღიური დაცვა“ დაკავშირებული გადახდებისა. ამასთან, მომხმარებელს საშუალება ექნებათ გაიაქტიურონ საქართველოს ბანკის „მუდმივი საგადახდო დავალება“ და „ავტომატური გადახდები“ მომსახურება. პრივატბანკის იმ მომხმარებლებისთვის, რომლებიც სარგებლობდნენ პრივატბანკის „რეგულარული გადახდების“ მომსახურებით, შერწყმიდან შემდგომი 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში საქართველოს ბანკის „მუდმივი საგადახდო დავალებით“ და „ავტომატური გადახდებით“ მომსახურება იქნება უფასო, შემდეგ იმოქმედებს საქართველოს ბანკში დადგენილი სტანდარტული ტარიფები;
    - პრივატბანკის სერვისი და აპლიკაცია SMS ბანკინგი/Mobile Banking. პრივატბანკის პლასტიკური ბარათის მფლობელი ფიზიკური პირები, ბარათის მოქმედების ვადის განმავლობაში, გასავლის ოპერაციასა და ანგარიშზე დარჩენილ ნაშთზე მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს მიიღებენ უფასოდ. ამასთან, მომხმარებლებს საშუალება ექნებათ გაიაქტიურონ საქართველოს ბანკის სმს ბანკი;
    - პროდუქტი - „პრივატ 24“ (ინტერნეტბანკი, მობილბანკი). პრივატბანკის მომხმარებლებს მიეცემა შესაძლებლობა ისარგებლონ საქართველოს ბანკის ინტერნეტბანკით და მობილბანკით, „პრივატ 24“-ის მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით. ამ პირობით სარგებლობისთვის, საჭიროა შერწყმიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, მომხმარებელმა გაიაროს ავტორიზაცია საქართველოს ბანკის ინტერნეტბანკში ან მობილბანკში. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, „პრივატ 24“-ის მომხმარებლის სახელი და პაროლი აღარ იქნება ვალიდური, მაგრამ მომხმარებელს მათი აღდგენა შეეძლება საქართველოს ბანკის სერვისცენტრებში;
    - მომსახურება - „ფიზიკური პირების ექსპრეს გადახდები“. პრივატბანკის მომხმარებლები საქართველოს ბანკის სატელეფონო ცენტრში მომსახურების მიღებას შეძლებენ „პრივატ 24“-ის ინტერნეტბანკის მომხმარებლის სახელით და პაროლით. საქართველოს ბანკის სატელეფონო ცენტრთან დაკავშირება შესაძლებელი იქნება შემდეგ ტელეფონის ნომერზე: (+995 32) 2 555 555;
    - „სატელეფონო გადახდები კორპორატიული მომხმარებლებისთვის“ მომსახურება.
- 6. ანაბრები:
  - პრივატბანკში ანაბრების არსებული საპროცენტო განაკვეთები შენარჩუნდება, ხოლო ანაბრების ვადის გასვლის შემდეგ მათი ავტომატური პროლონგაცია აღარ მოხდება. ამასთან, მენაბრეებს საშუალება ექნებათ გახსნან ახალი ანაბრები საქართველოს ბანკის სერვისცენტრებში და ინტერნეტბანკით.
  - შერწყმის მომენტიდან პრივატბანკის ანაბრების: „დეპოზიტი VIP“, „პრივატ 24“, „ყულაბა“, „დაგროვების მომსახურება „ყულაბა“, „სტანდარტი“, „დეპოზიტი+“, „Приват-вклад“, „ყულაბა ზავშეგებისთვის“ ძირითად თანხაზე საპროცენტო სარგებლის ავტომატურად დამატების პირობა შეწყდება და საპროცენტო სარგებლის ჩარიცხვა მოხდება ანაბრის მომსახურე ანგარიშზე.
  - შერწყმის მომენტიდან პრივატბანკის ანაბარ „დეპოზიტი +“-ის საპროცენტო სარგებლის საბონუსე პროგრამაში ჩარიცხვა შეწყდება და საპროცენტო სარგებლის ჯახური მოცულობის ჩარიცხვა მოხდება ანაბრის მომსახურე ანგარიშზე.
  - შერწყმის მომენტიდან გაუქმდება პრივატბანკის ყველა ნულოვანი ნაშთის მქონე ანაბარი.
- 7. ინკასაციით მომსახურება:
  - შერწყმის მომენტიდან პრივატბანკის „ინკასაციით მომსახურება“ შეწყდება, თუ პრივატბანკის ინდივიდუალური შეტყობინებით სხვა რამ არ იქნება განსაზღვრული.
- 8. „სერვისი ექვაირინგი“:
  - პრივატბანკის „სერვისი ექვაირინგი“ პარტნიორებს, რომლებიც შერწყმის მომენტისთვის სარგებლობენ საქართველოს ბანკის ექვაირინგის მომსახურებით, შერწყმის მომენტიდან პრივატბანკთან არსებული „სერვისი ექვაირინგი“ შეუწყდებათ.
  - პრივატბანკის „სერვისი ექვაირინგი“ პარტნიორებს, რომლებიც შერწყმის მომენტისთვის არ სარგებლობენ საქართველოს ბანკის ექვაირინგის მომსახურებით, საქართველოს ბანკი მოემსახურება პრივატბანკთან შეთანხმებული ტარიფებით და საქართველოს ბანკის მიერ დადგენილი სხვა სტანდარტული პირობებით.
- 9. განვადებები:
  - პრივატბანკის „უპროცენტო ან/და მომენტალური განვადების“ პარტნიორებს, საქართველოს ბანკი მოემსახურება პრივატბანკთან შეთანხმებული ტარიფებით და საქართველოს ბანკის მიერ დადგენილი სხვა სტანდარტული პირობებით.
  - პრივატბანკის „სტანდარტული განვადების“ პარტნიორებს, რომლებიც შერწყმის მომენტისთვის სარგებლობენ საქართველოს ბანკის განვადების სერვისით, შერწყმის მომენტისთვის შეუწყდებათ პრივატბანკის „სტანდარტული განვადებით“ სარგებლობა და ისარგებლებენ საქართველოს ბანკის განვადების სერვისით.
  - პრივატბანკის „სტანდარტული განვადების“ პარტნიორებს, რომლებიც შერწყმის მომენტისთვის არ სარგებლობენ საქართველოს ბანკის განვადების სერვისით, საქართველოს ბანკი მოემსახურება მის მიერ დადგენილი სტანდარტული პირობებით.
  - შერწყმის მომენტიდან პრივატბანკის მომსახურება - „სტანდარტული უპროცენტო განვადება“ შეწყდება. პრივატბანკის „სტანდარტული უპროცენტო განვადების“ პარტნიორებს, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე, შეუძლიათ ისარგებლონ საქართველოს ბანკის განვადების სერვისით.

პატივისცემით,

ს.ს. „პრივატბანკის“ და ს.ს. „საქართველოს ბანკის“ ადმინისტრაცია